

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ  
საკითხთა და ეთიკის კომისია

---

2800 ქ.ლანჩხუთი, კოსტავას N37 ტელ: 591.32.41.41

---

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ  
საკითხთა და ეთიკის კომისიის

N26 სხდომის დასკვნა

ქ.ლანჩხუთი

06.04.2016წ

2016 წლის 6 აპრილს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ნ.მურვანიძის,  
დ.ბურჭულაძის და ე. ჭიჭინაძის განცხადების განხილვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ფრაქცია „ქალები პოლიტიკაში“ შექმნის თაობაზე.
2. მოქალაქე ვახტანგ ზენაიშვილის განცხადება განხილვა ქ. ლანჩხუთში მდებარე  
სტალინის ბიუსტთან დაკავშირებით.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე-კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების  
გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება უარი ეთქვას ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (ნ.მურვანიძეს, დ. ბურჭულაძეს და ე. ჭიჭინაძეს) გაერთიანებას ფრაქციად რეგისტრაციაზე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე- კომისიის წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქე ვ. ზენაიშვილის განცხადება სტალინის ბიუსტის დემონტაჟთან დაკავშირებით განხილული იქნას საკრებულოს ერთ-ერთი სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარე:



რ.ბიწაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს


მოხსენებითი ბარათი

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ კომისიის 2016 წლის 6 აპრილს N26 სხდომის ოქმს, კომისიის  
დასკვნას, კომისიის წევრების სარეგისტრაციო ფურცელს.  
დანართი-7 (შვიდი) ფურცელი.

პატივისცემით,

რომან ბიწაძე



კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო,  
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N26

ლანჩხუთი

06.04.2016წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რ.ბიწაძე,ა.ხუხუნაიშვილი,კ.ასკურავა  
გ.კერესელიძე, ა.ქანთარია.

სხდომას ესწრებოდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების:  
ნ.მურვანიძე, დ.ბურჭულაძე, ე.ჭიჭინაძე, მოქალაქე: ვ. ზენაიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა რ.ბიწაძე.

დღის წესრიგი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ნ.მურვანიძის, დ.ბურჭულაძის და ე. ჭიჭინაძის განცხადების განხილვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქალები პოლიტიკაში“ შექმნის თაობაზე.
2. მოქალაქე ვახტანგ ზენაიშვილის განცხადების განხილვა ქ.ლანჩხუთში მდებარე სტალინის ბიუსტის დემონტაჟთან დაკავშირებით.

რ.ბიწაძემ კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ნ.მურვანიძის, დ.ბურჭულაძის და ე. ჭიჭინაძის განცხადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქალები პოლიტიკაში“ შექმნის თაობაზე.

მან აღნიშნა, რომ ფრაქციის შექმნასთან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეესაბამება საქართველოს „ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მოთხოვნებს. სამწუხაროა, რომ განმცხადებლებმა არ გაითვალისწინეს ჩემი რეკომენდაცია და თხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ კომისიაში შემოეტანათ ახალი, შესწორებული ვარიანტი ფრაქციის სადამფუძნებლო დოკუმენტაციისა. კონკრეტულად ახალ ფრაქციაში გაწევრიანების მსურველებს ე. ჭიჭინაძეს და დ. ბურჭულაძეს არ წარმოუდგენიათ პარტიული კუთვნილობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. ასევე გადასახედია დასაფუძნებელი ფრაქციის დასახელებაც „ქალები პოლიტიკაში“, რადგან ჩნდება ლეგიტიმური შეკითხვა ფრაქციის რაიმე ნიშნით შექმნის თაობაზე. გამოდის „ქართველ პატრიოტთა ალიანსის“ სიით გასული საკრებულოს მამაკაცი წევრი ო. გოგიჩაიშვილი იგნორირებულია იმავე პარტიის საარჩევნო სიით გასული ქალბატონი საკრებულოს წევრის დ. ბურჭულაძის მიერ. სავარაუდოდ გვაქვს ასეთი შედეგი, ფრაქციის დასახელებიდან გამომდინარე ო. გოგიჩაიშვილი არ და ვერ წევრიანდება ახლად შესაქმნელ ფრაქციაში, მაშინ როცა მოქმედი კანონმდებლობა ამას ავალდებულებს ფრაქციაში იყოს წარმოდგენილი პარტიული სიით გასულ საკრებულოს წევრთან, ანუ იგნორირებულია საკრებულოს წევრის ო. გოგიჩაიშვილის ელემენტარული კანონიერი უფლება გაწევრიანდეს ფრაქციაში. ვფიქრობ გადასახედია ახლად შესაქმნელი ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმაც, რომელიც დიდი ალბათობით თანხვედრაში არ არის ფრაქციაში გაწევრიანებულ პარტიათა პოლიტიკურ ღირებულებებთან, ან ფრაქციაში გაწევრიანების მსურველი საკრებულოს წევრები ემიჯნებიან და უარს ამბობენ თავიანთი პარტიების პოლიტიკურ ხედვებსა და ღირებულებებზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საკრებულოს წევრი ე. ჭიჭინაძე მოქმედი კანონმდებლობით ითვლება საკრებულოს უმრავლესობის და კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრად მანამ მის მიერ არ იქნება შესაბამისი ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ ტოვებს საკრებულოს უმრავლესობას და კოალიცია „ქართულ ოცნებას“.

**ა. ხუბუნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს სამი ქალბატონი გამოირჩევიან თავიანთი აქტიურობით, ხომ არ შეიძლება მივცეთ თანხმობა ფრაქციას რეგისტრაციაზე და დოკუმენტაცია შემდგომ ჩაასწოროს.

**ა.ქანთარია** აღნიშნა, რომ როგორც ვატყობთ ეს ფრაქცია მაინც შეიქმნება, ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაცია როგორც ირკვევა კანონთან შეუსაბამობაშია, საკითხს განსახილველად დავუბრუნდეთ მას შემდეგ როცა დოკუმენტაცია სრულყოფილი იქნება.

**გ.კერესელიძემ** აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთს ვიტყვი, ალაღად ვაცხადებ ძალიან არ მინდოდა შექმნილიყო ფრაქცია „ლანჩხუთი ევრო-ატლანტიკური მომავლისათვის“ მაგრამ დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ მე მხარი დაუჭირე.

**კ. ასკურავამ** აღნიშნა, რომ ძალიან მინდა შეიქმნას საკრებულოში ოპოზიციური ფრაქცია, მაგრამ რ. ბიწაძის პოზიცია არის არგუმენტირებული და მე სრულად ვიზიარებ მას, თუმცა ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ქალბატონო ელისო თქვენ გაგაოპოზიციონეროთ.

**ე. ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ეჭვი მაქვს, რომ მხოლოდ მე მთხოვთ პარტიული კუთვნილობის დოკუმენტის წარმოდგენას, მაჩვენეთ რამდენად კანონიერად შეიქმნა „კონსერვატორების“ ფრაქცია ჩვენს საკრებულოში.

**რ. ბიწაძემ** აღნიშნა, რომ „კონსერვატორების“ და სხვა ფრაქციების კანონიერების საკითხი ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოს თვეში იქნა შესწავლილი კომისიის მიერ რომელსაც შეგიძლიათ გაეცნოთ საკრებულოს აპარატში.

**კ. ასკურავას** წინადადებით კამათი შეწყდა და კენჭი ეყარა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით ამ ეტაპზე უარი ეთქვას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (ნ. მურვანიძეს, დ. ბურჭულაძეს და ე. ჭიჭინაძეს) გაერთიანებას ფრაქციად რეგისტრაციაზე.

### **მომხრე:5 წინააღმდეგი: არცერთი**

**რ. ბიწაძემ** კომისიას გააცნო განცხადება, რომელიც შეეხება ე. ლანჩხუთში არსებული სტალინის ბიუსტის დემონტაჟის საკითხს, რომელიც არის უშუალოდ პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი საკითხი და რომელიც პირველ რიგში განხილული უნდა იყოს საკრებულოში არსებულ ფრაქციებში. ჩემი როგორც ფრაქციის გარეთ მოღვაწე საკრებულოს წევრის პოზიცია ასეთია, რომ სტალინის ბიუსტი აღებული უნდა იქნას რამდენიმე მიზეზის გამო: კანონი „თავისუფლების ქარტიის შესახებ“ გვავალდებულებს ამას, არ არსებობს რაიმე სამართლებრივი აქტი ბიუსტის დადგმის თაობაზე და თავად ბიუსტი არაესთეტიკურია მისი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება ნულის ტოლია. იმის გამო, რომ მოქალაქე ვ. ზენაიშვილის აღნიშნული განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლიციით შესასწავლად დაეწერა საკრებულოს ყველა კომისიას და ფრაქციას მიზანშეწონილად მიმაჩნია საკითხი განსახილველად შეტანილი იქნას საკრებულოს ერთ-ერთი სხდომის დღის წესრიგში.

**კ. ასკურავამ** აღნიშნა, რომ საკრებულოს კეთილი ნებაა აღსრულდეს კანონი, რომელიც გვავალდებულებს მოხდეს ასეთი ბიუსტების დემონტაჟი. მე როგორც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი არ გაურბივარ პირად პასუხისმგებლობას ბიუსტის არ აღებასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ანალოგიური განცხადებით

მოქალაქეებს ჩვენთვის არ მოუმართავს. შესაძლებელია ბიუსტის აღების შემდეგ იქვე დაიდგას მონუმენტი რომელიც ყველა ომებში დაღუპული ჩვენი თანამემამულეების ამსახველი იქნება, და იმ მოედანს ეწოდოს გმირთა მოედანი.

ა.ქანთარიაშვილი აღნიშნა, რომ ყველა დიქტატორის ძეგლი ასაღებია, და რატომ ახლა, არჩვენებს ხომ არ დააზარალებს?

გ.კერესელიძემ აღნიშნა, რომ ყველამ ვიცით, რომ ომის ვეტერანებმა საკუთარი სახსრებით ააგეს აღნიშნული ბიუსტი და გული არ ვატკინოთ.

რ.ბიწამის წინადადებით კამათი შეწყდა და კენჭი ეყარა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნის პროექტს მოქალაქე ვ. ზენაიშვილის განცხადება სტალინის ბიუსტის დემონტაჟთან დაკავშირებით განხილული იქნას საკრებულოს ერთ-ერთი სხდომაზე.

მომხრე:5 წინააღმდეგი: არცერთი

ამით სხდომამ მუშაობა დაასრულა

სხდომის თავმჯდომარე  რ. ბიწამე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,  
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი.

1.რომან ბიწაძე



2.ადამ ხუხუნიანიშვილი



3.გურამ კერესელიძე



4.ამირან ქანთარია



5.კახაბერ ასკურავა



06.04.2016 წელი.